



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



დადგენილება:დ-37.37203561

თარიღი:21/12/2020

დადგენილება N18

2020 წლის 18 დეკემბერი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1. შეტანილი იქნეს ცვლილებები და დამატებები „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N32 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 27/12/2019, 190020020.35.113.016412), კერძოდ:

- გაიზარდოს სულ შემოსავლების და გადასახდელების ნაწილში 525 205 ლარით :

1. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 დეკემბრის #2497 განკარგულებით შევიდა ცვლილება „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის #2630 განკარგულებაში, რომლის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო **425 205** ლარი. მათ შორის:

- პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები - **425 205** ლარი;

2. გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის ნომერი და დასახელება: 0099175/00108051 რეგიონალური და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში ფაზა 2 (FRLD 2)

გრანტები - დაბა გომისძეთის ურბანული განვითარების გეგმისა და შესაბამისი დოკუმენტების შემუშავება -100 000 ლარი;

3. შემცირდეს გადასახდელების ნაწილში 200 000 ლარით:

გზების რეაბილიტაციისა და მოვლა შენახვის პროგრამა, არაფინანსური აქტივების ზრდა, სხვა შენობა ნაგებობები (ორგანიზაციული კოდი - 02 01 01 - 61.1.1.11.) - 200 000 ლარით;

- შესაბამისად გაიზარდოს გადასახდელების ნაწილში:

ა) საქართველოს მთავრობის #2630 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან ინფრასტრუქტურის სამუშაოები, არაფინანსური აქტივების ზრდა, გზები (ორგანიზაციული კოდი - 02 02 01 - 61.1.1.5.) - 425 205 ლარით;

ბ) საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის თანხა, არაფინანსური აქტივების ზრდა, (ორგანიზაციული კოდი - 02 04 - 61.1.2.11.) - 100 000 ლარით;

გ) კომუნალური მომსახურება, სუბსიდია (ორგანიზაციული კოდი - 03 02 - 2.5) - 200 000 ლარით.

მუხლი 2. დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

